

COVID-19-ის კრიზისის დროს
ოჯახში ძალადობის და
ქალთა მიმართ ძალადობის

საკომუნიკაციო სტრატეგია



ადამიანის უფლებათა საბჭოს გენდერული თანასწორობის,
ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის
საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია

COVID-19-ის კრიზისის დროს ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის საკომუნიკაციო სტრატეგია

შენიშვნა: დოკუმენტი შემუშავებულია გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის მიერ. ვინაიდან საკომუნიკაციო კამპანია მიმდინარე პროცესია, დოკუმენტი შესაძლოა შეიცვალოს სამუშაო რეჟიმში. მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს 30 მაისის რედაქციას. მუდმივად განახლებადი ვარიანტი იხილეთ: <https://bit.ly/2WzeSbM>

უწყებათაშორისი კომისიის შესახებ

ადამიანის უფლებათა საბჭოს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია შექმნილია საქართველოს მთავრობის 2017 წლის 12 ივნისის №286 დადგენილებით.

კომისიის უფლებამოსილებანი

უწყებათაშორისი კომისია წარმოადგენს საქართველოს მთავრობის მაკოორდინირებელ ორგანოს გენდერული პოლიტიკის განსაზღვრისა და აღსრულების მიმართულებით. კომისიის მიზანია საქართველოს მთავრობის მიერ გენდერული თანასწორობის, ქალთა უფლებების, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის სფეროში ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების განხორციელების ხელშეწყობა, სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მიმართულებით მუშაობა, აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებსა და სექტორულ პოლიტიკაში გენდერული „მეინსტრუმენტის“ განხორციელების წახალისება. სხვა ამოცანებთან ერთად, უწყებათაშორისი კომისია უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელებისათვის სამოქმედო გეგმების შემუშავებას, და ასევე - აღნიშნული გეგმის შესრულების კოორდინაციასა და მონიტორინგს.

კომისიის შემადგენლობა

უწყებათაშორის კომისიას თავმჯდომარეობს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში, ხოლო თანათავმჯდომარეობას საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე უწევს.

22 წევრისგან შემდგარი უწყებათაშორისი კომისია უფლებამოსილებას ახორციელებს შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს სამინისტროები (მინისტრების მოადგილეები), საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებში, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე, სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორი, სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი, სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი რეგიონალურ საკითხებში.

ხოლო, უწყებათაშორისი კომისიის მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობას იღებენ: საქართველოს სახალხო დამცველი ან მისი მოადგილე, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ან საბჭოს წევრი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე, სსიპ – იურიდიული დახმარების სამსახურის უფროსი ან მისი მოადგილე და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

კომისიის საკონსულტაციო ჯგუფი

უწყებათაშორისი კომისია ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციასთან აქტიური თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, უფლებამოსილია შექმნას საკონსულტაციო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან უწყებათაშორისი კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებული საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პარტნიორი ორგანიზაციები

საერთაშორისო ორგანიზაციები:

- ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში
- ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში (COE)
- გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN WOMEN)
- გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
- გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)
- გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატი (OHCHR)
- გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)
- შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO)
- გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO)
- მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM)
- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO)
- ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI)
- საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI)
- მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობა საქართველოში (World Bank)
- გერმანიის კორპორაცია საერთაშორისო თანამშრომლობისთვის GIZ (German Corporation for International Cooperation)
- კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (USAID/PROLog)
- USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამა
- კავკასიის გარემოს დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN)
- ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM)
- Equal Pay International Coalition (EPIC)
- ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო
- შვეიცარიის საელჩო საქართველოში/შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისი სამხრეთ კავკასიაში
- საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი (IFES)
- ავსტრიის განვითარების სააგენტო (ADA)
- ქალთა ფონდი საქართველოში
- ევროპის ფონდი
- ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის (NIMD)
- ევროპელი ქალები საერთო მომავლისთვის - wecf
- ფრიდრიხ ებერტის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობა

ადგილობრივი ორგანიზაციები:

- პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (PHR)
- ქალთა საინფორმაციო ცენტრი
- სამოქალაქო განვითარების სააგენტო
- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
- ადამიანის უფლებები საქართველო
- საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო
- ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)
- ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
- იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“
- სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
- თბილისი პრაიდი
- "თანასწორობის მოძრაობა"
- საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია Save the Children-ის წარმომადგენლობითი ოფისი საქართველოში
- ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG)
- საქართველოს ყრუთა კავშირი
- EU for Justice - სასამართლოს მხარდაჭერის პროექტი
- ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი
- ინოვაციებისა და რეფორმების ცენტრი
- კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი "სოხუმი"
- რეგიონის განვითარების ცენტრი (RDC)
- საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი
- სიდა/გლობალური შეთანხმების საქართველოს ქსელი

COVID-19-ის კრიზისის დროს ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის საკომუნიკაციო სტრატეგიის ძირითადი ამოცანები

- ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სახელმწიფოს მიერ შემუშავებული პოლიტიკისა და მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს შესახებ ინფორმაციის მიწოდება ძალადობის პოტენციური მსხვერპლებისთვის, მათი სიცოცხლისა და უსაფრთხოების დაცვის პრინციპების გათვალისწინებით.
- ოჯახში ძალადობის და ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე სამართალდამცავი ორგანოებისთვის შეტყობინების განხორციელების ეფექტური ალტერნატიული გზების უზრუნველყოფა პოტენციური მსხვერპლებისთვის.
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერებისა და მგრძობელობის ამაღლება და მათი ჩართულობის გაზრდა ძალადობის ფაქტების გამოვლენაში.
- ერთიანი, კოორდინირებული მოქმედების უზრუნველყოფის მიზნით, კომუნიკაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე სამთავრობო და არასამთავრობო უწყებებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესება.

ძირითადი საკომუნიკაციო გზავნილები

- COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის მიუხედავად, სახელმწიფოს აგრძელებს ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მკაცრი პოლიტიკის გატარებას.
- მსხვერპლი არ არის მარტო! სახელმწიფო იცავს ძალადობა გამოვლილ თითოეულ ადამიანს.
- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა დანაშაულია. ყველა მოძალადე დაისჯება კანონის სრული სიმკაცრით.

- ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის დაძლევა საერთო საქმე და ყველას საერთო პასუხისმგებლობაა

კამპანიის ძირითადი ჰეშთეგები

#არაძალადობას #კითანასწორობას #StopVIOLENCE

კამპანიის დამატებითი (ალტერნატიული) ჰეშთეგები

#იგრძენითავიუსაფრთხოდ #დაიცავითავიძალადობისაგან

საკომუნიკაციო სტრატეგიის ზოგადი რეკომენდაციები პარტნიორ უწყებებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს

1. “Do No Harm” („არ ავნო“), როგორც ფუნდამენტური პრინციპი ნებისმიერი ღონისძიების განხორციელებისას.

COVID-19-ით გამოწვეულმა კრიზისმა მნიშვნელოვნად შეცვალა არსებული რეალობა ინფორმაციის მიწოდებისა და მასზე ხელმისაწვდომობის მხრივ. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ინფორმაციის ადრესატამდე მიტანა, თუმცა, არა მისი სიცოცხლისა და უსაფრთხოების რისკის ქვეშ დაყენების ხარჯზე.

2. მიზანთან შესაბამისია ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული საინფორმაციო მასალის ინტეგრირება სხვა, ზოგადი ხასიათის საინფორმაციო მასალაში.

მაგალითისთვის, პოსტერზე, რომელიც ეხება ხშირად დასმულ შეკითხვებს საგანგებო მდგომარეობის დროს, ინტეგრირებულია გრაფა, რომელშიც მოცემულია ჩანაწერი ოჯახში ძალადობის ცხელი ხაზების ნომრებით.

ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული განხორციელებული და დაგეგმილი ღონისძიებების ცხრილი

ღონისძიება/აქტივობა	პასუხისმგებელი და პარტნიორი უწყება/ორგანიზაცია	განთავსებული ინფორმაციის ლინკი/წყარო	თარიღი	სტატუსი
სოციალური მედიის აქტიური გამოყენება 112 ცხელი ხაზისა და აპლიკაციის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით	შინაგან საქმეთა სამინისტრო	ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი	26 მარტი	შესრულდა
სოციალური მედიის აქტიური გამოყენება ოჯახში ძალადობის ბრალდებით დაკავებულ პირთა შესახებ ინფორმაციის გავრცელების კუთხით	შინაგან საქმეთა სამინისტრო	ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი	26 მარტი 2 აპრილი 10 აპრილი	შესრულდა
საინფორმაციო ბუკლეტების/პოსტერების მომზადება ქართულ, აზერბაიჯანულ, სომხურ, და რუსულ ენებზე 112 ცხელი ხაზისა და აპლიკაციის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით	შინაგან საქმეთა სამინისტრო ქალთა საინფორმაციო ცენტრი (WIC) ადგილობრივი მუნიციპალიტეტები	https://www.facebook.com/WICgeorgia/	1 აპრილი	შესრულდა

<p>გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის სხდომის ჩატარება</p> <p>მიზანი: მიმდინარე პრაქტიკის განხილვა, Q&A, ხარვეზების გამოვლენა, კოორდინაციის გაუმჯობესება</p>	<p>მთავრობის ადმინისტრაცია</p> <p>გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახშიძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია</p>	<p>კომისიის სხდომის ოქმი დაგზავნილი იქნა ელ-ფოსტით და ატვირთულია მოცემულ საიტზე:</p> <p>www.myrights.gov.ge</p>	<p>9 აპრილი</p>	<p>შესრულდა</p>
<p>კომისიის სხდომის შესახებ ინფორმაციის სოციალური ქსელებით და მედიით გავრცელება.</p> <p>გზავნილი: კრიზისის მიუხედავად, ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი პოლიტიკის გატარება გრძელდება. (#112; #116006)</p>	<p>მთავრობის ადმინისტრაცია</p> <p>გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახშიძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია</p>	<p>პირველი არხი</p> <p>პირველი არხი 2</p> <p>იმედი TV</p> <p>IPN.ge</p> <p>მთავრობის ადმინისტრაცია</p> <p>ადამიანის უფლებათა საბჭო</p>	<p>9-10-11 აპრილი</p>	<p>შესრულდა</p>

<p>SMS შეტყობინებების გაგზავნა მთელი საქართველოს მასშტაბით შს სამინისტროსგან (ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე)</p> <p>გზავნილი: კრიზისის მიუხედავად, პოლიცია მზადაა დაიცვას მსხვერპლები ძალადობისგან. 112-ის ცხელი ხაზი + აპლიკაცია</p>	<p>შინაგან საქმეთა სამინისტრო</p> <p>შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი</p>		<p>15 აპრილი</p>	<p>შესრულდა</p>
<p>ინფორმაციის გავრცელება თავშესაფრებსა და კრიზისულ ცენტრებში არსებული სერვისების შესახებ</p>	<p>ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.</p>		<p>16 აპრილი</p>	<p>შესრულდა</p>
<p>საინფორმაციო პოსტერების მომზადება ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ძალადობის შეტყობინების შესაძლებლობის და სახელმწიფო სერვისების შესახებ.</p>	<p>მთავრობის ადმინისტრაცია</p> <p>შინაგან საქმეთა სამინისტრო</p> <p>სსიპ სახელმწიფო ზრუნვის, ტრეფიკინგის</p>			<p>შესრულდა</p>

	მსხვერპლთა და დაზარალებულთა სააგენტო გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA)			
ვიდეო-რგოლის მომზადება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში პოლიციისა და თავშესაფრებისათვის მიმართვის მექანიზმებზე (112, მობილური აპლიკაცია, 116 006, და ა.შ.)	შინაგან საქმეთა სამინისტრო 'EU for Gender Equality' Project			შესრულდა
სატელევიზიო ფორმატის გრაფიკული ვიდეოს დამზადება	შინაგან საქმეთა სამინისტრო INL/US Embassy	https://bit.ly/2ZDTu8J		შესრულდა
ტელე-რადიო სივრცეების აქტიური გამოყენება და ინფორმაციის მიწოდება როგორც არსებული მექანიზმების თაობაზე, ისე მიღწეული შედეგების შესახებ	შინაგან საქმეთა სამინისტრო სსიპ სახელმწიფო ზრუნვის, ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა	https://bit.ly/3gp0zQm https://bit.ly/2XB6WY5 https://bit.ly/2XOirMf https://bit.ly/3d9WfCt		შესრულდა

	<p>სააგენტო</p> <p>მთავრობის ადმინისტრაცია</p>	<p>https://bit.ly/2X4S0m0</p> <p>https://bit.ly/2ZDTu8J</p> <p>https://bit.ly/36E9IQy</p> <p>https://bit.ly/3d9V9ql</p> <p>https://bit.ly/2B7KX3D</p> <p>https://bit.ly/2M2xFrt</p> <p>https://bit.ly/3etb9nt</p> <p>https://bit.ly/3d9L6Bx</p> <p>https://bit.ly/3epXqxX</p> <p>https://www.facebook.com/adamianisuflebatadacvisdepartamenti/</p>		
<p>ზეპირი მითითებების გაცემა შესაბამისი აღმასრულებელი ორგანოებისათვის, რომლის მიხედვითაც, კომენდანტის</p>	<p>მთავრობის ადმინისტრაცია</p>			შესრულდა

<p>საათის დროს არ დაჯარიმდებიან ძალადობის მსხვერპლი ადამიანები, ვინც მოძალადისგან თავის დაღწევის მიზნით ტოვებს საცხოვრებელს.</p> <p>გადაწყვეტილების მიღება და მისი კომუნიკაცია შესაბამისი წყაროებით.</p>	<p>შინაგან საქმეთა სამინისტრო</p>			
<p>ონლაინ კონსულტაციები ოჯახში ძალადობის საკითხებზე</p>	<p>მთავრობის ადმინისტრაცია¹¹ ევროპის საბჭო</p>		<p>მაისი</p>	<p>შესრულდა</p>
<p>სოციალური ქსელის (ფეისბუქი) ბაზაზე პლატფორმის შექმნა „ქალები COVID-19-ის წინააღდეგ“, რომელიც მიზნად ისახავს რელევანტური ინფორმაციის გაზიარებას COVID-19-ის შესახებ</p>	<p>გაეროს ქალთა ორგანიზაცია - UN Women</p> <p>ქალთა უფლებებზე მომუშავე პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციები</p>			<p>შესრულდა</p>
<p>ვებინარების ციკლის ორგანიზება შემდეგ თემებზე:</p> <p>(1) კორონავირუსის გავლენა ქალებზე</p> <p>(2) კორონავირუსის დროს ქალთა მიმართ ძალადობის გაზრდილი</p>	<p>CENN ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამები ეს წალკაა და ქედა ლიდერი</p>		<p>აპრილი</p>	<p>შესრულდა</p>

რისკები გამოწვევები და შესაძლებლობები ქალებისთვის კორონავირუსის დროს				
მოკლე ვიდეო ინტერვიუების სერია ქალებსა და გოგონებზე covid-19-ის ზეგავლენის შესახებ	ევროპის საბჭოს პროექტი “ქალთა მიმართ ძალადობის აღკვეთის მიზნით ინტეგრირებული მიდგომის ხელშეწყობა და გენდერული თანასწორობის განმტკიცება საქართველოში”		აპრილი / მაისი	შესრულდა
ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით, სახელმწიფოში არსებული სერვისების შესახებ საინფორმაციო კამპანია ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტებში, განსაკუთრებული აქცენტით 112 მობილური აპლიკაციასა და 116006 ცხელ ხაზზე.	ქალთა საინფორმაციო ცენტრი (WIC) ბოლნისისა და მარნეულის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოებთან	https://bit.ly/2Rz3j2P	23 მარტი- 2 ივნისი	შესრულდა

	<p>პარტნიორობით</p> <p>რელევანტურ სახელმწიფო უწყებებთან და ადგილობრივ და ცენტრალურ მედიასთან თანამშრომლობით</p>			
<p>ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხების გარშემო Facebook ჯგუფის შექმნა (საზოგადოების, ახალგაზრდების, ქალების მობილიზება) და ვიდეო მიმართვების მომზადება, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების ენებზე</p> <p>#დარჩისახლში, #იგრძენითავიუსაფრთხოდ, #დაიცავითავიძალადობისაგან</p>	<p>ქალთა საინფორმაციო ცენტრი (WIC)</p> <p>მიზნობრივ მუნიციპალიტეტები</p> <p>ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით</p>	<p>https://www.facebook.com/groups/293032855013851/</p>	6 აპრილი	შესრულდა
<p>სახელმწიფოში არსებული ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული სერვისების შესახებ საინფორმაციო კამპანია ქედის, წალკის, ლაგოდეხის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში,</p>	<p>ქალთა საინფორმაციო ცენტრი (WIC)</p> <p>მიზნობრივ მუნიციპალიტეტები</p>			

<p>ზუგდიდისა და გორის დევნილთა დასახლებებში და გამყოფი ხაზის გასწვრივ მდებარე სოფლებში, განსაკუთრებული აქცენტით 112 მობილური აპლიკაციასა და 116006 ცხელ ხაზზე.</p>	<p>ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით</p>			<p>შესრულდა</p>
--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------------------	--	--	-----------------

ამ სტრატეგიით გათვალისწინებული ქმედებების უდიდესი ნაწილი უკვე შესრულებულია. გარდა აღწერილი ღონისძიებებისა, გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის უწყებათაშორისი კომისია გააგრძელებს მუშაობას ამ საკომუნიკაციო სტრატეგიაზე დაყრდნობით და აქტიურ კომუნიკაციას ოჯახში ძალადობის საკითხებზე, მათ შორის, ქალთა მიმართ ძალადობის 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში. პანდემიის დასრულებისას, სახელმწიფო გააგრძელებს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მკაცრი პოლიტიკის გატარებას. საჭიროების შემთხვევაში, კომისია შეიმუშავებს დამატებით დოკუმენტებს.